




BioTopic



გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები საქართველოში - თემა საქართველოს საჯარო სკოლებისათვის

ბოლო საუკუნეების მანძილზე მრავალი ცხოველისა თუ მცენარის საცხოვრებელი გარემო დაიირღვა ადამიანის ზემოქმედების გამო. ეს მოხდა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაშიც.

საქართველოში ბიომრავალფეროვნებას მთელი სიმწვავით საფრთხის უქმნის პაბიტატების ფართომასშტაბიანი განადგურება, მაგალითად, ტყის ჭრა, წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია და საძოვრების ინტენსიური გამოყენება. საძოვრების გამოყენება განსაკუთრებით პრობლემებს უქმნის მაღალმოტის სუბ-ალპურ და ალპურ ეკოსისტემებს, ასევე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნახევრად-მშრალ ზონებს. ორივე შემთხვევაში, მობალახე საქონლის (განსაკუთრებით ცხერის) დიდი რაოდენობა იწვევს ნიადაგის

დადგენილია, რომ მთელ მსოფლიოში დღეში 50-100 სახეობის გადაშენება ხდება და ისე, რომ ზოგი მათგანი არც არის აღმოჩენილი. გარდა ამისა, 16300 სახეობა სამუდამოდ გაქრობის უკიდურესი საფრთხის წინაშეა. ამიტომაც გახდა დღესდღეობით ბიომრავალფეროვნების დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები ასე გადაუდებელი.

ეროზიას. გარდა ამისა, სახეობათა პოპულაციებს საფრთხეს უქმნის ბრაკონიერობა - უკანონო ნადირობა, თევზჭერა, ტყის ჭრა. რესურსების ამგვარი, არამდგრადი გზით გამოყენების გამო მრავალი ცხოველი - ირემი, ჯიხვი, არჩვი, დათვი და თევზის მრავალი სახეობა, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ველური წინაპრები, როგორიცაა მაგალითად ველური შერია, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და თითქმის გადაშენდა საქართველოდან. მეორეს მხრივ, ტყის არამერქნული პროდუქტებით სარგებლობა (საკვებად, სამკურნალოდ ან დეკორატიული მიზნებისათვის) არ რეგულირდება კანონმდებლობით. ამასთან, ბალაზოვანი მცენარეების სტატუსის შეფასება ჯერ არ დასრულებულა; ამდენად, იშვიათი და ენდემური სახეობები ჯერ ისევ დაუცველია კანონმდებლობით. სახეობებს საფრთხეს უქმნის აგრეთვე ტექნიკური ინფრასტრუქტურის (გზების, კაშხლების, რეინიგზის, არხების და ა.შ.), ინდუსტრიული ზონების და დასახლებების მშენებლობა. მაგალითად, გამსვლელი თევზების (როგორიცაა ზუთხისებრები) სამიგრაციო გზებზე აგებული კაშხლები ამ სახეობებისათვის წარმოადგენს გადაულახავ ბარიერს, როდესაც

ისინი მიგრირებენ ქვირითობის ადგილებში. ამჟამად საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე დგას ძუძუმწოვრების 29, ფრინველების 35, რეპტილიების 11, ამფიბიების 2, თევზების 14 და მერქნიანი მცენარეების 56 სახეობა, რომლებიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ამასთან, საქართველოში ბინადარი 44 ხერხემლიანი ცხოველი საფრთხის წინაშე დგას გლობალურ დონეზე და შეტანილია IUCN-ის (International Union for Conservation of Nature and Natural Resources - ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი) მიერ მომზადებულ საერთაშორისო წითელ ნუსხაში. ზოგიერთი სახეობა, მაგალითად ჯეირანი, ასევე ნიამორის თრიალეთის ქედის პოპულაცია, საქართველოში გაქრა გასულ საუკუნეში. ლეოპარდი, ისევე როგორც ზოლიანი აფთარი, ჯერ კიდევ გვხვდება, თუმცა მხოლოდ იზოლირებული ერთეული ინდივიდების სახით; ამასთანავე, საქართველოში ძალზედ შემცირებულია ირმის რაოდენობა (შენარჩუნებულია მისი მხოლოდ სამი პატარა პოპულაცია).

გლობალურ დონეზე კაცობრიობამ აღიარა, რომ ბიომრავალფეროვნების კარგვა დიდი პრობლემაა, რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროებს ყურადღებას, რათა შენარჩუნდეს



Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development



Centre for International
Migration and Development
a joint operation of GTZ and the
German Federal Employment Agency



საქართველოს გარემოს დაცვისა და მუნიციპალურ რესურსების სამინისტრო



სიცოცხლე დედამიწაზე. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ზომების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, პირველყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ სახეობების მდგომარეობა. სწორედ ამიტომ მომზადდა წითელი წუსხები. წითელი წუსხა მოიცავს სახეობებს, რომელსაც გადაშენების საფრთხე ემუქრებათ. ყველაზე ვრცელი და საყოველთაოდ აღიარებული წითელი წუსხა მოამზადა საერთაშორისო გარემოსდაცვითმა ორგანიზაცია IUCN-მა. გარდა ამისა, წითელი წუსხების შედგენა ხდება ცალკეული ქვეყნების მიერაც. ბიომრავალფეროვნების კვეთრი შემცირების საპასუხოდ საქართველომაც მოამზადა საკუთარი წითელი წუსხა. ამ წუსხაში შეტანილია ის სახეობები, რომლებიც ბინადრობენ საქართველოში და ემუქრებათ გადაშენების საფრთხე, ან წარსულში ბინადრობდნენ საქართველოში მაგრამ ამჟამად უკვე გადაშენებულები არიან. ფერად სვეტში ჩამოთვლილია ის კატეგორიები, რომელიც მიერიქებათ საქართველოს წითელ წუსხაში შემავალ სახეობებს.

საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, თბილისის ზოოპარკთან და ბოტანიკურ ბაღთან ერთად ქვეყნის მასშტაბით წამოიწყო კამპანია წითელი წუსხის სახეობებზე. კამპანია ერთ-ერთია იმ მრავალი ღონისძიებიდან, რომელიც საქართველოში იმართება გაეროს მიერ ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო წელიწადად გამოცხა-

მოწყველადი:

ენიჭება სახეობას, რომელსაც გადაშენების საფრთხე ამჟამად არ ემუქრება, მაგრამ შესაძლოა დაემუქროს უახლოეს მომავალში;

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი:

ენიჭება სახეობას, რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშე დგას;

გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი:

ენიჭება სახეობას, რომელიც უკიდურესად ახლოს დგას გადაშენების საფრთხის წინაშე;

გადაშენებული ეროვნული დონეზე:

სახეობა, რომელიც უკვე გადაშენდა და აღარ გვხდება საქართველოში.

დებულ 2010 წელს. კამპანია ხორციელდება გერმანულ-ქართული თანამშრომლობის (GTZ) პროექტის "ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა" ფარგლებში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურში მომუშავე საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) გერმანელი ექსპერტის მხარდაჭერით.

წითელი წუსხის სახეობებზე გარემოსდაცვით საგანმანათლებლო კამპანიაში ქვეყნის მასშტაბით ჩართულია 300-მდე საჯარო სკოლა. კამპანიის ძირითადი ამოცანაა სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება წითელი წუსხის ათ სახეობაზე, რომელთა მდგომარეობა გაუარესდა ბოლო ათწლეულების მანძილზე და შესაბამისად, შეტანილი იქნენ საქართველოს წითელ წუსხაში. ვინაი-

დან კამპანია ფოკუსირებულია იმ ხუთი ცხოველისა და ხუთი მცენარის სახეობაზე, რომელიც გვხვდება არა მარტო საქართველოში, არამედ მის მეზობელ ქვეყნებშიც, შეიძლება ითქვას, რომ კამპანიაში ჩართული მოსწავლეები და მასწავლებლები გაეცნობიან არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზეც გადაშენების საფრთხოს წინაშე მყოფ სახეობებს.

2010 წლის 22-დან 31 მარტამდე საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა შეხვედრები საჯარო სკოლის მასწავლებლებთან. ამ შეხვედრებზე, გარდა იმისა, რომ მასწავლებლებს ეცნობათ, თუ რას გულისხმობს კამპანია, რა არის მისი მიზნები და ამოცანები, ისინი ასევე გაეცნენ, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ კამპანიის ფარგლებში. ზაფხულის არდადებების დაწყებამდე მასწავლებლები კამპანიას გააცნობენ მოსწავლეებს. სასწავლო სესიებზე მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას ბიომრავალფეროვნებაზე, იმ საფრთხეებზე რომელიც მას ემუქრება; გაგებენ ასევე ეროვნული და საერთაშორისო წითელი წუსხების მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, ბავშვები ისწავლიან წითელი წუსხის 10 სახეობის გარეგნული, კვებითი, ბინადრობისა და სხვა თავისებურებების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც დგანან სახეობები საქართველოში და კავკასიაში. ზაფხულის არდადებების შემდეგ ბავშვებმა უნდა დახატონ ნახატები, რომლებიც ერთიანი სახით გამოიცემა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური

გულებას 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-727231

ტექსტი: ქრისტინე შტრაუბი

წერილი: საქართველოს მე-4 ეროვნული მოსწავლება ბიომრავალფეროვნების კონფერენციისადმი სამდიგნოსადმი. 2010.

ფოტოები: გიორგი ლებანიძე, იურგენ პანკე

www.biomonitoring.moe.gov.ge
www.moe.gov.ge

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, სამსრეფ კავკასია

გულებას 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-201828